

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის  
ბრძანება №3/489

22. 11. 2006 წ.

ქ. თბილისი

“გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსისათვის, ძველი ომალოსათვის, ქუთაისის ბოტანიკური ბაღისათვის, ძველი შატილისათვის და ალექსანდრე ჭავჭავაძისეული პარკისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე” საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 21 მარტის №3/63 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. “გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსისათვის, ძველი ომალოსათვის, ქუთაისის ბოტანიკური ბაღისათვის, ძველი შატილისათვის და ალექსანდრე ჭავჭავაძისეული პარკისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე” საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 21 მარტის №3/63 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 27.04.06. №9 ნაწ. IV, გვ.16) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება :

ა) ბრძანების დანართი №5 ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”.


3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი დავით სარაჯიშვილის ქუჩა №1<sup>ბ</sup>).

მინისტრი

გ. გაბაშვილი

თელავის რ-60 სოფ. წინადალი  
 ალექსანდრე ჯავახიშვილის პარკი



ექსპლიკაცია

1. აღ. ჭავჭავაძის სასახლე
2. პრეზიდენტის რეზიდენცია
3. საბანკეტო დარბაზი
4. კარის ეკლესია
5. სასტუმრო
6. სასტუმრო
7. სასტუმრო
8. მაცივარი
9. სანერგე მეურნეობის შენობა
10. დვინის სარდაფი-ქარხანა
11. ლაბორატორიის შენობა
13. ახალი მინაშენი